იენის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ ბაკალავრიატის III, IV, V სემესტრის სტუდენტებისთვის

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2015/2016 წლის შემოდგომის და 2015 წლის გაზაფხულის სემესტრებისათვის იენის ფრიდრიჰ–შილერის სახელობის უნივერსიტეტში ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდიების მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის III, IV, V სემესტრის სტუდენტებს.

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
<u>I ეტაპი – გერმანული ენის ტესტი (B2 დონე);</u>
<u>II ეტაპი – გასაუბრება</u>

კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) გაიმართება 2014 წლის 26 ნოემბერს,
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქ.#11)
<u>აუცილებლად იქონიეთ თან პირადობის მოწმობა!</u>

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა სააპლიკაციო დოკუმენტების მიღება წარმოებს ელექტრონულად, შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

http://dfronline.tsu.edu.ge/

კონკურსზე ელექტრონულად დარეგისტრირების ბოლო ვადაა: **<u>2014 წლის 21 ნოემბერი, 18 საათი</u>**

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- CV - გერმანულ ენაზე
- მოტივაციის წერილი - გერმანულ ენაზე
- რეკომენდაციის წერილი - ქართულ და გერმანულ ენაზე (რეკომენდატორის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან - ქართულ ენაზე
- ბაკალავრიატში ან მაგისტრატურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან - ქართულ ენაზე
- დიპლომის და დიპლომის დანართის ასლი (**ბაკალავრებმა** ატვირთონ კიდევ ერთხელ ნიშნების ფურცელი)
- პასპორტის ასლი

<u>რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი თსუ ელ-ფოსტის მისამართით!</u>

თსუ ელ-ფოსტის მისამართთან ან პაროლთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში მიმართეთ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს!

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ: ირინა გამყრელიძეს (<u>irina.gamkrelidze@tsu.ge</u>)

<u>კონკურსზე არ დაიშვებიან ის სტუდენტები, რომლებმაც 2013/2014 სასწავლო წლის შეოდგომის სემესტრისათვის და 2015 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის იენის უნივერსიტეტის იდენტური სტიპენდიები მოიპოვეს!</u>

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212